

სასელი არატრადიციული ნედლეულის ფუძეები

გულნაზი კაიშაური-ტექნოლოგიის აკადემიური დოქტორი,
ნანული ხოსროშვილი-ტექნოლოგიის აკადემიური დოქტორი

საკვანძო სიტყვები: ყურძნის წიპრა, სასმელი, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები.

რეფერატი

მაღალი თერაპიული აქტიურობის მცენარეულ სამკურნალო საშუალებათა შორის საყურადღებოა ყურძნი. ყურძნი და მისი გადამუშავების პროცესები მდიდარია ფლავანონიდებით, რომელთაც გააჩნიათ მაღალი ანტიოქსიდანტური და ბაქტერიოციდული თვისებები. ბუნებრივი წარმოშობის რადიოდამცველ საშუალებად ყურძნის წიპრა ითვლება, თუმცა, ჩვენს ქვეყანაში იგი არარაციონალურად გამოიყენება,

კვლევის მიზანი იყო ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით მდიდარი პროდუქციის შექმნა არატრადიციული ნედლეულის გამოყენებით და მისი ხარისხის გამოკვლევა. კვლევის ობიექტად შერჩეულია “იზაბელა”-ს ჯიშის ყურძნის წიპრა და მისგან დამზადებული პროდუქცია.

ყურძნისგან წვენის გამოწურვის შემდეგ დარჩენილი მასიდან გამოყოფილია წიპრა. გამშრალი წიპრიდან დამზადებულია სპირტიანი ნაყენი, ხოლო ამ უკანასკნელისგან - უალკოჰოლო სასმელი.

სასმელის დასამზადებელი კომპონენტების პროცენტული თანაფარდობა დადგენილია ექსპერიმენტული გზით. სასმელების დეგუსტაციის შედეგად შერჩეულია საუკეთესო. შესწავლილია შერჩეული რეცეპტურით დამზადებული სასმელის ხარისხი (ორგანოლეგპრიტური და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები) და მისი შესაბამისობა ანალოგიური სახის პროდუქციაზე მოქმედი ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნებითაც. პროდუქცია შეფასებულია ანტიოქსიდანტური აქტივობის თვალსაზრისით.

შესავალი. მაღალი თერაპიული აქტიურობის მცენარეულ სამკურნალო საშუალებათა შორის საყურადღებოა ყურძნი. ყურძნი და მისი გადამუშავების პროდუქტები მდიდარია ფლავანონიდებით, რომელთაც გააჩნიათ მაღალი ანტიოქსიდანტური და ბაქტერიოციდული თვისებები.

მეცნიერულად დასამუთებულია ყურძნის ნაყოფისა და წვენის სარგებლიანობა გულ-სისხლძარღვთა დაგვადებების პროფილაქტიკისა და არტერიული წნევის დასარეგულირებლად [1], ნივთიერებათა ცელის, მადის გასაუმჯობესებლად. მას გააჩნია შარდმდენი, ოფლმდენი მოქმედება, აადვილებს ნახველის გამოყოფას [2, 3].

ხალხურ მედიცინაში დაუმწიფებელი ნაყოფის წვენისა და მეავე ჯიშებს იყენებენ საჭმლის მომნელებელ საშუალებად, მწიფე ნაყოფს (განსაკუთრებით შავი ჯიშისას) კი-სისხლნაკლულობისას, დაგვადებული ორგანიზმის გასაძლიერებლად [4,5], სხვადასხვა ახალი წარმონაქმნის მქონე ადამიანებისათვის, ასევე ორგანიზმის გამოფიტვის (შავ, მსხვილ ქიშმიშს); სახსრების და კუნთების ტკივილის (ყურძნის ძმარს) [6], ნეკროლგიური დაგვადებების, რადიკულიტის (წვენი) [7, 8], დიზენტერიის სამკურნალოდ (მშრალი და დაფქული ყურძნის წიპრა) და სხვ. [9].

ყურძნი საშუალოდ შედგება 6,5–10,5% კანის, 87–91% რბილობისა და 2–5% წიპრისაგან. გადამუშავებული ყურძნის მასის 20–23% ნაწნეხია. მასში 25% წიპრა, 50% კენკრის კანი და 25% კლერია.

წიპრა შეიცავს 6–7% წყალს, 5–7% მორიმლავ ნივთიერებას, 35–45% პოლისაქარიდებს, 10–14% ცილას (NX6,25), 1,5 - 3,5% ნაცარს, მაკრო- და მიკრო ელემენტებს (მათ შორის Ca, K და სხვ), კიტამინებს (A, B, C, E, K, PP), ანტიოქსიდანტებს, ლინოლის, ოლეინის, პალმიტინისა და სხვ. მეავებს, [10, 11], ცხიმში ხსნად ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს (გამშრალი წიპრა); ბიო-ფლავონონიდებს (დაფქვილი წიპრის ექსტრაქტი). ანტოციანებსა და სხვ. მისი კალორიულობა საშუალოდ 63 კკალ.

წიპრიდან დებულობებს ზეთს, ენობანის, ლიგნინს, თხევად და კონცენტრირებულ ექსტრაქტებსა და სხვ [12–20]. ზეთი შეიცავს: ნახევრად უჯერ მუვებს, მინერალურ ნივთიერებებს, შველა ცხიმმჟავას, ასევე ბეტა-კაროტინს. მას აქვს ჭრილობის შემახორცებელი და აღმდეგნი თვისება. იყენებენ: დამწვრობისას, კუჭის წყლულის, გასტრიტების, ქიმიოთერაპიის შემდეგ და ა.შ. კვების მრეწველობაში კი-მაიონეზში, ცხობისას, სალათებზე მოსასხმელად. ზეთი ყურძნის შავ ჯიშებში უფრო მეტია, ვიდრე თეთრში.

ყურძნის წიაღა, მასში შემცველი ბიოფლავონოდებისა და C ვიტამინის მაღალი ანტი-ოქსიდანტური აქტივობის გამო, ორგანიზმს ეხმარება თავისუფალი რადიკალების აქტივობის დათოვუნვაში, ორგანიზმიდან რადიონუკლიდების გამოდევნასა და ა.შ. წიაღის ეფექტურობა 50-ჯერ აღემატება E ვიტამინისას და 20-ჯერ C ვიტამინისას. [10, 11].

მსხვილად დაფქვილ წიაღის იუვენებებ პურის ცხობაში, წვრილად დაფქვილს კი-კაკაო-ფენილის სახეშემცვლელად. თუმცა მისი გამოყენება არ არის რეკომენდებული კუჭის წყლულის, გასტრიტისა და კუჭნაწლავის ტრაქტის სხვა დაავადებულთათვის [19, 20].

ქართველი მეცნიერების მიერ შემოთავაზებულია წიაღის გამოყენება სასმელების შემდვრეული პომოგენური სტრუქტურის შესაქმნელად და მისი სტაბილიზაციისათვის (შ. მუავია, ნ. მუავია პატენტი გამოგონებაზე GE P 2007 4269 B), ასევე სასმელების ანტიოქსიდანტური და ბიოლოგიური აქტივობის ასამაღლებლად (ა. შალაშვილი, ჯ. ლალიძე პატენტი გამოგონებაზე GE P 2011 5163B, GE P 2011 5165 B, GE P 2006 3836 B, GE P 2006 3835 B, GE P 2011 5164 B),

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, საქართველოს გადამუშავებელი მრეწველობა წიაღის ნაკლებად იუვენებს.

კვლევის მიზანი იყო ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით მდიდარი პროდუქციის შექმნა არატრადიციული ნედლეულის გამოყენებით და მისი ხარისხის გამოკვლევა.

კვლევის ობიექტი და მეთოდები. კვლევის ობიექტად შევირჩიეთ “იზაბელა”-ს ჯიშის კურნის წიაღი და მისგან დამზადებული პროდუქცია. კვლევებს ვაწარმოებდით სტანდარტული მეთოდებით [21].

წლების განმავლობაში კვლევები ტარდებოდა სტუ ბიოტექნოლოგიის ცენტრისა და საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის კვების პროდუქტთა ტექნოლოგიის დეპარტამენტის სამეცნიერო ლაბორატორიებში.

კვლევის შედეგები. დასახული მიზნის მისაღწევად ყურძნის ჯიშისგან “იზაბელა” დამზადდა ხატურალური წვენი, ხოლო დარჩენილი მასიდან გამოყოფილი წიაღი მიყვანილი იქნა ჰაერმშრალ მდგომარეობამდე. დაფქვის შემდეგ წიაღისაგან დამზადდა ნაყენი. ექსტრაქცია ჩატარდა სპირტულსხინარით, ორი კვირის განმავლობაში. გაფილტვრის შემდეგ ნაყენში განისაზღვრა სტანდარტული ხარისხობრივი მაჩვენებლები.

ნაყენი იყო გამჭვირვალე ყავისფერი სითხე. პქონდა ყურძნის არომატი. ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების შესწავლამ გვიჩვენა, რომ იგი აკმაყოფილებდა ანალოგიური სახის პროდუქციაზე მოქმედი ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნებს. ნაყენში საერთო ფენოლების შემცველობა შეადგენდა 278,3მგ/100სმ³, მონომერული ანტოციანების – 285,8მგ/100სმ³, ანტიოქსიდანტური აქტივობა - 42,5%.

ნაყენი გამოყენებულ იქნა სასმელის დასამზადებლად. სასმელი დამზადდა არსებული ტექნოლოგიური ინსტრუქციის მიხედვით, კუპაჟში დასამატებელი კომპონენტების პროცენტული თანაფარდობა დადგინდა ექსპერიმენტული გზით. კომპონენტების დამატების შემდეგ კუპაჟები გულდასმით აირია, გაიფილტრა და განისაზღვრა ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები.

სხვადასხვა რეცეპტურით დამზადებული სასმელების დეგუსტაციის შედეგად შერჩეულ იქნა საუკეთესო. შესწავლილია შერჩეული რეცეპტურით დამზადებული სასმელის, როგორც ხატურალური, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების წყაროს, ხარისხი ორგანოლეპტიკური და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები.

კვლევამ გვიჩვენა, რომ სასმელი იყო ყავისფერი, ყურძნის გემოთი და არომატი; შეიცავდა: 15,6 % მშრალ ნივთიერებას, 0,05 % მთრიმლავ ნივთიერებას, 2,29 მგ% C ვიტამინსა და 0,38 % მერკებას (დავინის მერკებაზე გადაანგარიშებით).

ყურძნის წიაღის ფუძეზე დამზადებული სასმელი, ისევე როგორც წიაღი, შეიცავს მრავალი სახის ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებას, მათ შორის P (მცენარეული ბიოფლავონოდი) და C ვიტამინებს. მათი ერთობლიობა ზრდის სასმელის კვებით დირებულებას.

დასკვნა. ჩატარებული კვლევებით დადგენილია, რომ ჩვენს მიერ დამუშავებული რეცეპტურით დამზადებულ სასმელს პქონდა მაღალი ორგანოლეპტიკური და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები. ისინი შეესაბამებოდა ანალოგიური სახის პროდუქციაზე მოქმედი ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Махлаюк В.П. Лекарственные растения в народной медицине. Саратов: Приволж. кн. изд-во, 1993. 544 с.
2. Кудрин А.Н. Фармакология: Учеб. для фармац. ин-тов. и фармац. фак-тов. мед. Вузов /А.Н. Кудрин. М.: Медицина, 1991. 496 с.
3. Палов М. Энциклопедия лекарственных растений /М. Палов: Пер. с нем. М.:Мир, 1998. 467 с.
4. Андреев В.В. Перспективы промышленного производства и применение естественных пищевых красителей (обзор). Кишинев, НИИНТИ, 1971. с. 46.
5. Носаль М.А. Лекарственные растения в народной медицине. М.:Внешсибирика, 1991.256с.
6. Абрамов Ш.А., Власова О.К., Абдулабекова Д.А. Сарыкум - уникальный микрорайон виноделия Дагестана //Виноград и вино России. 1998.-№ 1.с. 11-12.
7. Воробьев Б.Л. Травник. Сборник рецептов народной медицины М.: Изд-во «СТ», 1997. 392 с.
8. Завражнов В.И.. Китаева Р.И., Хмелев Лекарственные растения: лечебное и профилактическое использование. Воронеж: Изд-во ВГУ. 1994.
9. Палов М. Энциклопедия лекарственных растений. Пер. с нем. М.:Мир, 1998. 67 с.
10. Калошин Ю.А. Технология и оборудование масличного предприятия. М. 2002.
11. Цербаков В.Г. Биохимия и товароведение масличного сырья. М. ВО «Агропромиздат». 1991.
12. ქ. სიმბიოლოგიური ძომდლექსური მცენარეული რადიოდამცველი ხაზუალების რეცეპტურის, წარმოების ტექნიკურობისა და კონტროლის მეთოდების შემუშავება. ავტორეფრატი ქიმიური და ბიოლოგიური ინიციატივის დოკტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. ქუთაისი. 2017.
13. Haslam E. Plant polyphenols. – Cambridge: Univ. Press. Cambridge, 1989. 272 c.
14. Kinsella J.E., Frankel E., German B., Kanner J. Possible mechanism for the protective role of antioxidants in wine and plant food. Food Technol., 1993, April: p. 85-88.
15. Larrauri J.A., Sanchez Moreno C., Ruperez P., Saura – Calixto F. Free radical scavenging capacity in the aging of selected red Spanish wines //J. Agr. and Food Chem. 1999. 47, №4. 1603 -1606.
16. Soleas G.J. Wine as a biological fluid: history, production and role in disease prevention I G.J. Soleas, E.P. Diamandis, D.M Goldberg II J. Clin. Lab. Anal. -1997.-11, №5.-P.287-313.
17. Власик Л.Т. До біологічної дії олій, отриманих із насіння гарбуза та кісточок винограду /Л.Т. Власик, Л.В. Сергеєва //Матеріали наукової конференції, навкомініне середовище: здоров'я. Чернівці: ЧМУ, 1993. с. 71.
18. Еремина А.В. Биологически активные вещества винограда: классификация, Фармакологические эффекты, лекарственные препараты и БАД на их основе /А.В. Еремина, Е.А. Дегтярева, В.Ю. Решетняк //Натуротерапия и гомеопатия. 2003. №4 (4). с. 27-30.
19. <http://findfood.ru/product/vinogradnye-kostochki>
20. <https://poferme.com/vinograd/polza-i-vred/kostochki.html>
21. saxelmwifoTaSorisi standartebi kvebis produqtebze. sxvadasxva naerTTa Semcvelobis gansazRvis meTodebi.

The Drink Made of the Basis of Nontraditional Raw Materials

Gulnazi Kaishauri - Academic Doctor of Technology,
Nanuli Khosroshvili - Academical Doctor of Technology

Key words: Seeds of grapes, Drink, The biologically active materials

Abstract

Seeds of grapes represent this radio tire-tread means of natural origin. Despite of it, they aren't used in our country.

The object of research is creating a new type of productions enriched by biologically active materials and determining its quality. Seeds of grapes of "Isabella" and the productions manufactured of them served as an object of research.

After juicing grapes seeds underwent drying. After refinement of seeds the alcoholized infusion is made from them, and then - soft drink. Percentage of the mixed components of drink was determined by eksper in the mental path. After tasting drinks the best compoundings are allocated.

As a result of researches it is established that the drinks made on the compounding developed by us contain a large amount of biologically active materials. The production has been characterized according to their antioxidant activities.